**ოლიმპიადა-88** წარსული გაბმა-რდა, მაგრამ დავიწყებას არ მისცემია. ჩვენს მეხსიერებაში კიდევ დიდხანს იცოცხლებს ... ეს წამები ხომ ცვლიან ჩვენს წარმოდგენას შესაძლებლის ზღვარზე, აღფრთოვანებენ ადამიანს ... ზითა და სულიერი სიძლიერით, ... რო კეთილშობილებს, ძმაკაცობა და პატიოსნებას ... ოლიმ... ... ...

# სიყვარულის ახსნა

(დასასრული)

ხმა უკანკალებდა გელა კეტაშვილს, რომელიც ერთხელ არ შემკრთალა იქ, სეულში, სადაც ქართველ ფეხბურთელთაგან პირველმა მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.

ვღელავდით ჩვენც, დარბაზში მსხდომნი, თითქოს ახლა, ჩვენს თვალწინ წყდებოდა ოლიმპიური ჯილდოებიც ბედი. თუმცა ერთმა ბრინჯაოს მედალმა მართლა იმ საღამოს იპოვა თავისი მფლობელი. სსრ კავშირის სპორტსასკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსმა ლევან სანაძემ მქუხარე ტაშის „თანხლებით“ გადასცა იგი მაია აზარაშვილს, 4X100 მეტრზე სპრინტერული საესტაფეტო გუნდის წევრს. ფინალურ გარბენში მაია არ მონაწილეობდა, მაგრამ, წესის თანახმად, ერთ-ერთ წინასწარ გარბენში მონაწილეობა მას სრულ უფლებას აძლევდა ჩათვლილიყო ოლიმპიური თამაშების პრიზიორად. ასეც მოხდა. შეშმარიტად, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ეს იყო საქართველოს წარგზავნილთა მიერ მოპოვებული მეთოთრმეტე ოლიმპიური ჯილდო. სეულის თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას 16 სპორტსმენი იცავდა და მათგან მხოლოდ ხუთი დარჩა უმედოდ, ნინო სალუქვაძემ კი ორი გამარჯვება იზეიმა — ოქროს მედალიც დაისაკუთრა და ვერცხლისაც. სამწუხაროდ, სწორედ ის არ ესწრებოდა საზეიმო საღამოს. მიზეზი ძალზე საპატიოა: ნინო მიუნჰენში გახლდათ ტყვიის სროლაში. მსოფლიო თასის გათამაშებაზე. მაგრამ სალუქვაძეების გვარი ოლიმპიური ჩემპიონის მამისა და მწვრთნელის, ვახტანგ სალუქვაძის სახით იყო წარმოდგენილი დარბაზში. პატივისცემა არც სხვა ოლიმპიელთა მწვრთნელებს დაჰკლებიათ — არა მარტო მათ, ვინც რესპუბლიკაში მუშაობს, არამედ სტუმრებსაც: გენადი საპუნოვს, ლეონიდ არკაევს, დიმიტრი მინდიაშვილს, ალექსანდრე პეროკალსკის, გივი ჩიქვანაიას. ხოლო როცა კოტე მახარაძემ შეკრებილთ აუწყა, რომ დარბაზში იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა ნაკრების კაპიტანი, მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი, ოვაციებს დასასრული აღარ უჩანდა.

ყველაფერი ეს საღამოს ხდებოდა, დღისით კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა ოლიმპიელებთან. აქ ჩვენ არ გაგვიგონია ტრაფარეტული ფრაზები, როგორიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად გაისმის ასეთ შეხვედრებზე, რითაც ცდილობენ გვიჩვენონ სპორტსმენებსა და ფიზკულტურულ მუშაკებზე ზრუნვა. საოცარი იყო თვით ატმოსფეროც: უშუალო, თბილი, გულითადი. საქმიანი და ამავე დროს საზეიმო. ამას, ჩემი რწმენით, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ცენტრალურ კომიტეტში სპორტსმენებთან ერთად მიწვეული იყვნენ არა მარტო მათი მწვრთნელები, არამედ მშობლებიც, ის ხალხი, ვისთვისაც ოლიმპიადის გმირები, უპირველეს ყოვლისა, შვილები არიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არა მარტო გამარჯვებულები და პრიზიორები, არამედ ჩვენი რესპუბლიკის თექვსმეტივე ოლიმპიელი, აგრეთვე მათი მწვრთნელები დაჯილდოვდნენ პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

— ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა თავისთავად გამარჯვებაა სპორტსმენისთვის, — თქვა ოლიმპიელებისადმი მიმართვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა, — ოლიმპიადა ხომ უდიდესი მოვლენაა პლანეტის ცხოვრებაში და მასში მონაწილეობის უფლება საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა ხვედრია. თქვენ სეულიდან სხვადასხვა ღირებულების 12 მედალი ჩამოიტანეთ. ეს ცოტა არაა. და მაინც, ის უმთავრესი ჯილდო, რომელიც თქვენ მოიპოვეთ — ხალხის სიყვარული და პატივისცემაა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, თქვენს მწვრთნელებს, თქვენს მშობლებს. მათ უზარმაზარი წვლილი მიუძღვით თქვენს წარმატებებში. ჩვენ უზომოდ გვიხარია გამარჯვება, მაგრამ ოლიმპიადებში, სხვა დიდ შეჯიბრებებში წარმატება თვითმიზანი არ არის. მთავარია თქვენს მაგალითზე აღიზარდოს ახალგაზრდობა, თქვენი დახმარებით გაიგონ, რომ სპორტი — ეს არის ყველაზე უტყუარი გზა ფიზიკური და სულიერი სილამაზისკენ, ჯანმრთელობისკენ, სიმამაცისკენ, სიმხნევისკენ.

...წინა დღეს დიღმის ტყე-პარკის სპორტული დიდების ხეივანში გაჩნდა ახალი, ოლიმპიური ნერგები. სულ ხუთი ნერგია. თუმცა, ნერგებს ახლა ვუწოდებთ, მომავალში მათ ოლიმპიური ჩემპიონების ხეებს დავარქმევთ. და კვლავ გავიხსენებთ იმ მშვენიერ წამებს, სეულის გმირებმა რომ გვაჩუქეს.

**დ. კაკაბაძე,**

**„სოვეტსკი სპორტი“, 22.10.1988.**

# მთელი სკოლა— მძლეოსნურ ბილიკებზე

**ზუგდიდის № 2** საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. სიგუა) ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა „მორბენლის დღეები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო II-XI კლასების 700-მდე მოსწავლემ. ყველა კლასში გამოვლინდა პრიზიორები მოკლე (30, 60 და 100 მ) რბენაში და 200, 300, 500 და 1000 მ კროსში. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გაიმარჯვეს თემურ ჯიშკარიანმა, ეკა როგავამ, ნუგზარ გაბელიამ, ჯინა წითაშვილმა, კოტე კაკულიამ, ნანა როგავამ, დათო ჯიქონაიამ, ლალი ჩანგელიამ, ლაშა შედანიამ, ნანა შესხიამ და სხვებმა.

აღნიშნული ჩემპიონებისაგან შედგა სკოლის ნაკრები, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქალაქო პირველობაზე და პირველი ადგილი და ჩემპიონის სახელი მოიპოვა, მასვე გადაეცა გარდამავალი თასი კროსში „ქალაქის ჯრკალში“ გამარჯვებისთვის, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის 70-ე წლისთავს.

**ნელი ფარცვანია,**

**ფიზკულტურის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული.**

**ვლადიმერ ტუტოვის ფოტოები.**

## ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

სამტრედიის „ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში გაიმართა საგზაო საბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ერევნისა და სამტრედიის განყოფილებების გუნდები.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ერევნის ნაკრებმა გუნდმა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

# რით საზრდოობს ᲭᲝᲠᲬᲔᲑᲘ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში მოდის წერილები, თითქმის განუწყვეტლივ გვირეკავენ გულშემატკივრები, რომლებიც თავიანთ შეხედულებებს გვიზიარებენ ლანჩხუთის „გურიის“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივთან დაკავშირებით. კონკრეტულად საქმე ეხება ამ გუნდის უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობას. ჭარბი ემოციები ყველა საქმეში, რომ საიმედო მოკავშირე არ არის, ეს ყველამ კარგად ვიცით, და მაინც... ხიმძაფრე ემოციებმა მას შემდეგ შეიძინა, რაც „გურიამ“ ბათუმში ფრედ (1:1) ითამაშა ადგილობრივ „დინამოსთან“.

აბსურდია და უგუნურობა იქნება ვინმემ ამტკიცოს, რომ „გურიის“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება სასურველი არ არის და რესპუბლიკაში ხილული თუ უხილავი საშუალებებით ვინმემ ხელი შეუშალოს ამ გუნდს მიზნის მიღწევაში. არაჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი კი სწორედ ასეთ ჭორებს ეყრდნობა. სამწუხაროდ, ეს ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ.

ამ მთქმელ-მოთქმაში სპორტული ორგანიზაციების გარდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს და მის ხელმძღვანელობასაც ხშირად ახსენებენ. გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, თურმე, ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებს, თბილისის „დინამოს“ და მის თავკაცებს არ სურთ, „გურია“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს. რას ეყრდნობა ეს ყალბი აზრი? უნდა ვიფიქროთ — დილეტანტი გულშემატკივრის ემოციებს. ღრმად თუ ჩავწვდებით, სულ სხვა სურათს დავინახავთ. ჩვენ აქ მხოლოდ ერთ ფაქტზე შევჩერდებით. აბა დავფიქრდეთ და დავითვალოთ, რამდენი ფეხბურთელი გადავიდა თბილისის „დინამოდან“ ლანჩხუთის „გურიაში“, და შევადაროთ „დინამომ“ რამდენი მიიღო „გურიიდან“. შეფარდება აშკარად იმ ყალბი აზრის ხაწინააღმდეგოდ მეტყველებს. რესპუბლიკის სპორტსასკომმა, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მართლაც დიდი სულგრძელობა გამოიჩინეს, როცა „დინამოდან“ წასული ფეხბურთელები სწორედ ლანჩხუთში გაამწესეს. ეს იყო დინამოელთა გუნდის ახლანდელი თავკაცების ხურვილიც — თუმცა, შესაძლებელი იყო სხვა გადაწყვეტილებაც მიეღოთ (თუნდაც მინსკის დინამოელთა ამასწინანდელი ამბავი გავიხსენოთ). ამის შეუფასებლობა, დაუნახავობა და გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. ახლა თუ ამ ფაქტზე ვამახვილებთ უურადღებას, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ხინამდვილე ვუთხრათ მათ, ვინც დილეტანტი ვაი-გულშემატკივრების ხმებს აჰყოლია. და კიდევ იმიტომაც, რომ არ გვინდა ასეთი ჭორების გარემოცვაში სეირის მაყურებლის როლში გამოვიდეთ.

„გურია“ ყველა ქართველი გულშემატკივრის ხიამაყეა, ჩვენს ხალხს გულწრფელად უყვარს ეს გუნდი და ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად მის ბედს ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეს უკავშირებს. განა ლანჩხუთის სტადიონი მთელმა რესპუბლიკამ არ ააშენა? ვსვამ ხომ ქართული ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაში საერთო ენთუზიაზმის უტყუარი გამოვლინებაა.

განა იყო საკითხი, რომელიც სპორტსასკომს ლანჩხუთელთა სასარგებლოდ არ გადაეჭრა? თუნდაც პრესას მხარდაჭერა [illegible] — [illegible]

გუშინ რედაქციაში კიდევ ერთი ზარი გაისმა ლანჩხუთიდან. მან, ვინც რეკავდა, რაიონის ერთ-ერთ ხელმძღვანელად გაგვაცნო თავი, გვარი არ დასახელა. ოფიციალური ტონით შემოგვიტია, თურმე, რაიონში ბევრი ყოფილა აღშფოთებული იმის გამო, რომ „ლელომ“ ბათუმისა და ლანჩხუთის გუნდების მატჩის მსაჯი არ გააკრიტიკა (საკითხავია, რატომ და რის საფუძველზე უნდა გაგვეკრიტიკებინა?), ბათუმში მატჩის შემდეგ ლანჩხუთელ გულშემატკივართა ხაძრახის ხაკციელზე კი კრინტი არ დაუძრავს. აი, სად არის ტენდენციურობა.

გუშინვე ვესაუბრეთ „დინამოს“ ხელმძღვანელებს — ისინი გაოცებულნი არიან „გურიის“ გარშემო შექმნილი სიტუაციით. დაადასტურეს, რომ მთქმელ-მოთქმა, რაც მათ შეეხება, უსაფუძვლოა.

ჩვენც, პრესის მუშაკებს, დღეს მთელი პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ლანჩხუთის „გურიას“ კრიზაში არავინ უდგას, მისი ბედი მისხავე ხელთაა, ამიტომ, ერთი ობიექტური გულშემატკივრის თქმისა არ იყოს, გვეჩვენება, რომ არასასურველ ხმებს მხოლოდ ის ავრცელებს და ამით ცდილობს არაჯანსაღი ატმოსფერო შექმნას, ვინც პირად ავტორიტეტს და კეთილდღეობას უკავშირებს ამ გუნდს.

დაბოლოს, ერთი რჩევა: უფრო ფხიზლად რომ ვიყოთ, უთუოდ დავინახავთ, ვინ ამღვრევს წყალს და ნამდვილად ვინ ერევა გუნდის საქმეებში.

# SOS

# მინიფეხბურთი... დიდი აჟალმაჟალით

**მინიფეხბურთი** რომ ჩვენს ქალაქში საფუძვლიანად დამკვიდრდა, ამას ბევრი მტკიცება აღარ სჭირდება. ჩვენი რესპუბლიკა იყო და დარჩება ამ ლამაზი სანახაობის მოტრფიალე, ჩვენს ქალაქს ამ მხრივ საამაყოც ბევრი აქვს. მინიფეხბურთელთა პირველ საკავშირო გათამაშებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, თბილისის წარგზავნილებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ეს გამარჯვება, რაღა თქმა უნდა, მრავლისმეტყველია (მინიფეხბურთი იციან თბილისში, ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ქალაქს ყველა პირველობაზე ახალახალი საინტერესო გუნდები ემატება). გახდე ჩემპიონი ასეთ წარმომადგენლობით საკავშირო ტურნირში, იოლი საქმე არ გახლავთ. ამ წარმატებამ, ცხადია, თავისებური ელფერი შემატა თბილისელ მინიფეხბურთელთა შეჯიბრებებს.

მაგრამ, რაც წინა შაბათს „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსში მოხსენებულ მაყურებელმა ნახა, ყველანაირ ნორმას სცილდება. 22 ოქტომბერს ეს სარბიელი ქალაქის პირველობის ნახევარფინალურ შეხვედრებს მასპინძლობდა. პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები „ვერა“ და „ოქროსუბანი“. ორივე გუნდი სანახაობრივად ლამაზ, გააზრებულ თამაშს უჩვენებს, ამიტომაც იყო, რომ შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსის ტრიბუნები გულშემატკივრებით აივსო.

თამაში სანახაობრივად საინტერესოდ წარიმართა. მეორე ნახევრის მე-16 წუთზე ოქროსუბნელებმა ანგარიში გახსნეს. ვერელთა გუნდის სახახელოდ უნდა ითქვას, რომ გაშვებული გოლის შემდეგ მათ ფარხმალი არ დაუყრიათ... ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილ ფეხბურთში — ძლიერი დარტყმები, მეკარეთა საუცხოო თამაში, ერთი სიტყვით, ის, რითაც ლამაზია ფეხბურთი და აი, ეს ზეიმი, რომლის ნაწილობრივ გადმოცემა თუ შეუძელი, ოქროსუბნელთა კარში შვიდმეტრიანი დარტყმის დანიშვნამ გააჭარწყლა. ამ პენალტმა, მართლაც, ყველაფერი თავდაყირა დააყენა — მოთამაშეები მიხცვივდნენ არბიტრს, ითხოვდნენ გადაწყვეტილების შეცვლას. ფეხბურთელებს არც ოქროსუბნელთა გუნდის გულშემატკივრები ჩამორჩნენ, მოედანზე გადმოხტნენ და ზოგიერთმა მათგანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს. თამაში კარგა ხნით შეწყდა, სათამაშო მოედანი ძველი ბიჭების სათარეშო სარბიელად გადაიქცა, ამ დროს კი, სამწუხაროდ, კომპლექსში არც ერთი წესრიგის დამცველი არ აღმოჩნდა. დიახ, იმ ტრადიციას, რომელსაც უკვე ოთხი წელია ჩაეყარა საფუძველი, ერთი ხელის მოსმით დაეკარგა ელფერი.

ალბათ დამეთანხმებით, ყველივე ამის შემდეგ თამაშის ჩატარებას აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ ორგანიზატორთა დიდი მცდელობით მსაჯმა ზ. ლაცაბიძემ მაინც გააგრძელა თამაში. ოქროსუბნელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 2:0.

მეორე ნახევარფინალში „საბურთალო“-1-მა „ეხნონ“-გუნდი დამარცხა — 2:1. არც ეს შეხვედრა ჩატარებულა ნორმალურ ვითარებაში, აქაც გადმოცვივდნენ „ეხნონ“ გულშემატკივრები მოედანზე, აქაც ატყდა ერთი ვაი-უშველებელი.

მინიფეხბურთელთა შეჯიბრებას, რომელიც ასეთ ინტერესს იწვევს, მეტი ყურადღება სჭირდება. უნდა დადგინდეს სავალდებულო წესები, რომელიც ამ შეჯიბრებას შეეფერება, გამოიყოს კვალიფიციური მსაჯები, შეხვედრებს უნდა ეხწრებოდნენ ექიმებიც, წესრიგის დამცველებიც, თორემ ანალოგიური შეჯიბრების ჩატარების იღეას ფახი ეკარგება. ამ კარგი ტურნირის თაოსნებს კომკავშირულ მუშაკებს ყველა მხარეში უნდა ამოვუდგეთ.

თბილისობის დღესასწაულზე, რომელიც 29 ოქტომბერს გაიმართება, ფინალურ მატჩში „საბურთალო-1“ და „ოქროსუბანი“ ითამაშებენ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მსგავსი ინციდენტი აღარ გამეორდეს.

**ზაზა კაბაძე.**

## II ᲚᲘᲒᲐ

**დამთავრდა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. ამ ზონაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის გუნდები მონაწილეობდნენ, საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება:

### ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ.“ ქ. | 30 | 24 | 4 | 2 | 70-21 | 52 |
| „ქიაფაზი“ | 30 | 20 | 3 | 7 | 79-28 | 43 |
| „მეტალურ.“ | 30 | 19 | 5 | 6 | 68-29 | 43 |
| „სოკოლი“ | 30 | 18 | 5 | 7 | 65-39 | 41 |
| „გოიაზანი“ | 30 | 15 | 5 | 10 | 51-36 | 35 |
| „ტექსტილ.“ | 30 | 13 | 7 | 10 | 49-36 | 33 |
| „დინამო“ | 30 | 13 | 5 | 12 | 44-38 | 31 |
| „ატომმაში“ | 30 | 12 | 7 | 11 | 44-30 | 31 |
| „თერგი“ | 30 | 12 | 7 | 11 | 43-39 | 31 |
| „დილა“ | 30 | 12 | 5 | 13 | 45-52 | 29 |
| „ხაზარი“ | 30 | 11 | 6 | 13 | 39-48 | 28 |
| „ტორპ.“ ვ. | 30 | 9 | 5 | 16 | 29-48 | 23 |
| „ლ.“ (მ. წ.) | 30 | 8 | 4 | 18 | 29-54 | 20 |
| „შევარ.“სპი | 30 | 8 | 4 | 18 | 33-61 | 20 |
| „ლოკ.“-ომც | 30 | 5 | 4 | 21 | 32-72 | 14 |
| „ბაკინეცი“ | 30 | 2 | 2 | 26 | 15-94 | 6 |

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

### V ᲯᲒᲣᲤᲘ

**საფრანგეთის** ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვლავ სუსტად ითამაშეს, ისინი ნიქოზიაში შეხვდნენ კიპროსის ნაკრებს და მხოლოდ ფრეს მიაღწიეს — 1:1.

ფრანგებმა პირველი ტაიმის დასასრულს შეძლეს ბურთის გატანა მეტოქის კარში (ქსიურები), მაგრამ მატჩის დასასრულს მასპინძლებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს. საფრანგეთის ნაკრების მცველებმა უხეშად ითამაშეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე და მიამილიოტისმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი — 1:1.

### ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შოტლანდია** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| **საფრანგეთი** | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| **იუგოსლავია** | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| **კიპროსი** | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| **ნორვეგია** | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲘᲜᲘᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

**სიდნეი.** აქ მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში დახურულ შენობაში. საუკეთესოდ გამოდიან ბრაზილიელი ფეხბურთელები, რომლებმაც 3 განვლილ მატჩში 52 ბურთი გაიტანეს. პირველი ეტაპის მორიგი შეხვედრა ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 11:1 მოუგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდს და მეოთხედფინალში გაიხადეს ადგილი. მათს გარდა მეოთხედფინალში გავიდნენ ურუგვაის, პარაგვაისა და ავსტრალიის გუნდები (მინიფეხბურთის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში 16 გუნდი გამოდის).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

**სსრ კავშირის** 1988 წლის ჩემპიონატის ფინიშამდე ბევრი აღარ დარჩა და ამასთან დაკავშირებით ყოველ ტურში გამოიკვეთა რამდენიმე მატჩი, რომელთა შედეგებს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბოლოო ადგილების გასარკვევად. კერძოდ, სწორედ 26-ე ტურში, განვლილ შაბათს, საბოლოოდ გადაწყდა ალმა-ათის „კაირატის“ საკითხი, რომელსაც უკვე არა თუ პრაქტიკული, თეორიული შესაძლებლობაც აღარ აქვს უმაღლეს ლიგაში შეინარჩუნოს ადგილი. დარჩენილ 4 ტურში ალმაათელმა ფეხბურთელებმა ქულათა მაქსიმუმიც რომ დააგროვონ, ეს მათ ვერ უშველის, დნეპროპეტროვსკში შაბათს წაგებულმა მატჩმა მათს პრობლემას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

ასევე დიდმნიშვნელოვანი იყო ბაქოს „ნეფთჩისთვის“ ვილნიუსის „ჟალგირისთან“ შეხვედრა, მაგრამ თუ „კაირატი“ სტუმრად თამაშობდა, „ნეფთჩი“ მასპინძელი იყო, საკუთარმა მინდორმა კი ბაქოელებს ვერ უშველა და „ჟალგირისთან“ განცდილი მარცხის შემდეგ მათი მდგომარეობა ფაქტიურად უიმედოდ აქცია.

სამწუხაროდ, ამ ორ აუტსაიდერთან ერთად დამარცხდა თბილისის „დინამოც“, რომელმაც შინ ვერაფერი გააწყო ლენინგრადის „ზენიტთან“ და წლევანდელ ჩემპიონატში მე-13 წაგება მიუმატა თავის პასივს.

**„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:1 (0:0)**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 22 ოქტომბერი.**

**„დინამო“:** **გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ქეცბაია, არზიანი, რევიშვილი, ხვანაძე, ცვეიბა, ცაავა (ყაველაშვილი, 70), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი (გურული, 58).**

**„ზენიტი“:** **ბირიუკოვი, ივანოვი, სტეპანოვი, ვორობიოვი, აფანასიევი, ლარიონოვი, ბარანიკი, ჟანგიროვი (პოდპალი, 83), სალენკო, დმიტრიევი (დანილოვი, 62), ვედენეევი.**

**მსაჯი ს. პუსაინოვი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს** **დმიტრიევი, ივანოვი, ვედენეევი, ბარანიკი.**

ლენინგრადის „ზენიტი“ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ის გუნდია, რომელიც ბოლო, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში დაუძლეველ წინააღმდეგობად იქცა თბილისის „დინამოსთვის“. ეს უკვე შვიდი წელია ლენინგრადელ ფეხბურთელებთან სისტემატურად უარყოფითი შედეგები გვაქვს. მოვიშველიოთ სტატისტიკა: 1982 წლიდან მოყოლებული დღემდე თბილისელებმა „ზენიტთან“ საკავშირო ჩემპიონატის 14 კალენდარული მატჩი გამართეს, მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვეს (1982 და 1985 წლებში), ორი მატჩი ფრედ დაამთავრეს (ორივე — 1987 წელს) და 10 წააგეს. საერთო ჩათვლაში 28 შესაძლებლიდან „ზენიტმა“ თბილისის „დინამოსთან“ 22 ქულა აიღო და მხოლოდ 6 დაკარგა. საოცარი ბალანსია!

ტყუილუბრალოდ, თავისით, ფეხბურთში ამგვარი ამბები არ ხდება. ცხადია, წარუმატებლობათა ამ მრავლწლიან პრაქტიკას გარკვეული მიზეზები აქვს, ან თბილისელებმა ვერაფერი გაუგეს „ზენიტის“ თამაშს, ან. პირიქით, ლენინგრადელებმა მიაგნეს რაღაც გასაღებს ჩვენს გუნდთან შეხვედრებში.

ასეა თუ ისე, წლევანდელ ჩემპიონატის პირველ წრეში განცდილ მარცხს ლენინგრადში „ზენიტთან“ (4:5) დინამოელებმა საკუთარ მინდორზე წაგებაც დაუმატეს და დასანანი ისაა, რომ ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა ჩვენ სულ უფრო ხშირად ვლაპარაკობთ თბილისის „დინამოს“ თამაშის გაუმჯობესებაზე, ძველი ტრადიციების აღდგენაზე.

თუ განვლილი მატჩის პირველ ტაიმში მინდორზე გამართული ბრძოლის სურათზე ვილაპარაკებთ, წასაგები არაფერი გვქონდა. პირიქით, დინამოელები თამაშობდნენ სრული უპირატესობით, თამამად, გამართულად, მინდვრის მთელ სივრცეზე. ზენიტელებმა მიიღეს მასპინძელთა მიერ შეთავაზებული მაღალი ტემპი და, თუმცა, სისტემატურად აგებდნენ ბურთისთვის ბრძოლას შუა მინდორზე, სამაგიეროდ, საკუთარ საჯარიმო მოედანზე დაცვის ისეთი საიმედო კედელი ჰქონდათ აღმართული, რომლის მიახლოებისას დინამოელთა იერიშები, როგორც წესი, იმსხვრეოდა და სიმწვავეს კარგავდა. 45 წუთის განმავლობაში დინამოელებს ტერიტორიული უპირატესობა არ დაუკარგავთ, საიერიშოდ განწყობილი იყო ყველა, უკლებლივ ყველა რგოლი, ყველა მოთამაშე, მაინც, განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ქეცბაიას მეტად სახიფათო რეიდები, მას რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა ჰქონდა გოლით დამთავრებინა თავისი სწრაფი მანევრები. ამ პერიოდში „ზენიტმა“ მხოლოდ რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელა და მასაც ჰქონდა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა, კერძოდ, 33-ე წუთზე ჟანგიროვი ისეთ პოზიციაში აღმოჩნდა, როცა გოლი გარდაუვალია ხოლმე.

თბილისელთა ეს უპირატესობა უშედეგოდ დამთავრდა იმის გამო, რომ შეტევას არ ჰქონდა დამამთავრებელი აქცენტი. თბილისელები ყველაფრით სჯობდნენ მეტოქეს, ერთის გარდა: მათ ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტები, ზენიტელთა დაცვის ხაზები შეუპოვრად და წარმატებით იბრძოდნენ.

მაყურებელი იმისთვის განეწყო, რომ მეორე ტაიმში ენახა თბილისელთა გოლები, მაგრამ ჩვენმა გუნდმა შესვენების შემდეგ თითქმის მთლიანად დაკარგა აღრინდელი საბრძოლო განწყობა და საიერიშო სულისკვეთება. „ზენიტმა“ კიდევ უფრო გაამაგრა დაცვის ხაზები, კიდევ უფრო მოხშირდა მისი კონტრშეტევები და ერთ-ერთი მათგანის დროს, 54-ე წუთზე, თბილისელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს სალენკოს წინააღმდეგ, მსაჯმაც დაუყოვნებლივ დანიშნა 11-მეტრიანი.

ლაპარაკს იმის თაობაზე, იყო თუ არა პენალტი, აზრი არა აქვს. ჯობია, ისა ვთქვათ, რომ ამ მომენტში წესის დარღვევა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. სალენკოს წინააღმდეგ ორი-სამი თბილისელი მცველი იყო, მათ წესის დაურღვევადაც იოლად შეეძლოთ გამკლავებოდნენ „ზენიტის“ ფორვარდს, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა: დაინიშნა 11-მეტრიანი, დმიტრიევმა ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

თამაშის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო, დინამოელებმა თითქოს მოინდომეს, მაგრამ პირველი ტაიმისგან განსხვავებით მათ თამაშში უკვე იგრძნობოდა ზედმეტი ნაჩქარობა, უზუსტობა გადაცემებისას, ინდივიდუალური მოქმედებანი. შეუთანხმებლობა, გარდა ამისა, კვლავ არ იქნა რეალიზებული რამდენიმე კარგი მომენტი.

ერთი სიტყვით, ეს იყო ფრიად დასანანი წაგება, მას კი, თუ ზემოხსენებულ სტატისტიკას მოვიშველებთ, უკვე ტრადიციული შეიძლება ეწოდოს. ფრიად მძიმე და **საპასუხისმგებლო** მომენტებში ხშირად ვმარცხდებით სწორედ ლენინგრადის „ზენიტთან“, ეს კი სამერმისოდ ჩვენი გუნდისთვის გაკვეთილად უნდა იქცეს. რა თქმა უნდა, ეჭვი არ გვეპარება, რომ თბილისის „დინამომ“ შეასრულა უმაღლეს ლიგაში დარჩენის მეტად რთული ამოცანა, მაგრამ მის წინაშე კვლავ ნათლად დგას სხვა ამოცანა, რეაბილიტაცია საკუთარი მაყურებლის თვალში და საპატიო ადგილის დაკავება 1988 წლის საკავშირო ჩემპიონატში. „ზენიტთან“ წაგებული მატჩი დინამოელებისთვის დამაფიქრებელ გაკვეთილად უნდა იქცეს.

**როგორც გაუწყეთ, ოდესაში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე, თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩის შესვენების დროს გამარჯვებულებმა საპატიო წრე შემოურბინეს სტადიონს. სურათზე, რომელიც ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, სწორედ ეს მომენტია ასახული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.

* * *

ახლა ჩემპიონატის დასასრულამდე ბევრი აღარ დარჩა, ამიტომაც მკითხველებს შევახსენებთ ბოლო შეხვედრათა კალენდარს:

**26 ოქტომბერი.** „ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ (მე-18 ტურის მატჩი).

**27 ოქტომბერი.** „დინამო“ მ. — „არარატი“ (21 ტურის მატჩი).

**31 ოქტომბერი.** **27-ე ტური.** „მეტალისტი“ — „დინამო“ მ., „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“, „ჟალგირისი“ — „ჩერნომორეცი“, „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“, „ზენიტი“ — „დნეპრი“, „დინამო“ თბ. — „კაირატი“, „არარატი“ — „დინამო“ კ., „ნეფთჩი“ — „ტორპედო“.

**4 ნოემბერი.** **28-ე ტური.** „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „კაირატი“ — „ნეფთჩი“, „დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“, „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ — „დნეპრი“, „ზენიტი“ — „შახტიორი“, „**დინამო**“ **თბ.** — „**ტორპედო**“, „არარატი“ — „მეტალისტი“.

**8 ნოემბერი.** „ლოკომოტივი“— „დინამო“ მ. (23-ე ტურის მატჩი).

**14 ნოემბერი.** **29-ე ტური.** „შახტიორი“ — „ჟალგირისი“, „დნეპრი“ — „დინამო“ მნ., „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“, „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“, „ნეფთჩი“ — „მეტალისტი“, „**დინამო**“ კ. — „**დინამო**“ **თბ.**, „ტორპედო“ — „დინამო“ მ., „კაირატი“ — „არარატი“.

**19 ნოემბერი.** **30-ე ტური.** „შახტიორი“ — „დინამო“ მნ., „დნეპრი“ — „ჟალგირისი“, „სპარტაკი“ — „ზენიტი“, „ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“, „**მეტალისტი**“ — „**დინამო**“ **თბ.**, „ნეფთჩი“ — „დინამო კ., „ტორპედო“ — „არარატი“, „დინამო“ მ. — „კაირატი“.

### გათამაშების ცხრილი

| ძირითადი შემადგენლობანი | მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
| 1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 26 | 14 | 10 | 2 | 40-19 | 38 |
| 2. „დინამო“ (კიევი) | 26 | 13 | 9 | 4 | 36-16 | 35 |
| 3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 26 | 13 | 9 | 4 | 36-22 | 35 |
| 4. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 25 | 13 | 7 | 5 | 31-20 | 33 |
| 5. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 26 | 12 | 7 | 7 | 33-26 | 31 |
| 6. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 26 | 10 | 7 | 9 | 32-31 | 27 |
| 7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 24 | 8 | 10 | 6 | 28-23 | 26 |
| 8. „შახტიორი“ (დონეცკი) | 25 | 8 | 9 | 9 | 25-24 | 25 |
| 9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 26 | 9 | 6 | 11 | 22-30 | 24 |
| 10. „არარატი“ (ერევანი) | 25 | 8 | 8 | 9 | 17-22 | 24 |
| 11. „დინამო“ (მოსკოვი) | 24 | 8 | 6 | 10 | 23-27 | 22 |
| 12. „დინამო“ (თბილისი) | 26 | 8 | 5 | 13 | 25-32 | 21 |
| 13. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 26 | 6 | 9 | 11 | 25-33 | 21 |
| 14. „დინამო“ (მინსკი) | 26 | 5 | 11 | 10 | 23-28 | 21 |
| 15. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 26 | 5 | 5 | 16 | 24-40 | 15 |
| 16. „კაირატი“ (ალმა-ათა) | 26 | 4 | 4 | 18 | 18-45 | 12 |

### საქართველოს პირველობა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 34-ე ტურის შეხვედრები: „ივერია“ (ხაშური) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0, „სულორი“ (ვანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 6:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:1, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:3.

**ПРОВЕРЬТЕ ПРАВИЛЬНОСТЬ ОФОРМЛЕНИЯ АБОНЕМЕНТА!**

На абонементе должен быть проставлен оттиск кассовой машины.

При оформлении подписки (переадресовки) без кассовой машины на абонементе проставляется оттиск календарного штемпеля отделения связи. В этом случае абонемент выдается подписчику с квитанцией об оплате стоимости подписки (переадресовки).

Для оформления подписки на газету или журнал. а также для переадресования издания бланк абонемента с достабочной карточкой заполняется подписчиком чернилами, разборчиво, без сокращений, в соответствии с условиями, изложенными в каталогах Союзпечати.

Заполнение месячных клетов при переадресовании. издания, а также клетки «ПВ—МЕСТО» производится работниками предприятий связи и Союзпечати.

## ვიცეჩემპიონიც ნამგა გათამაშებაში

**მოსკოვი.** საზღვარგარეთის ტურნედან დაბრუნებულმა კაუნასის „ჟალგირისმა“ კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი ჩაატარა აქ ადგილობრივ „დინამოსთან“.

გასულ შაბათს დინამოელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქვეყნის ვიცეჩემპიონს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 112:116 (58:62).

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა განმეორებითი შეხვედრაც, რომლის პირველი ნახევარი „ჟალგირისმა“ 1 ქულით მოიგო — 50:49, შესვენების შემდეგ ინიციატივა დინამოელთა მხარეს გადავიდა, რომლებმაც 4-ქულიანი უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს — 100:96.

მოსკოვის „დინამო“ 8 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა, მაგრამ მას ყველაზე მეტი შეხვედრა (ექვსი) აქვს ჩატარებული.

## ᲒᲣᲨᲘᲜ...

**თბილისში, მინსკსა და ალმა-ათაში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და მოსკოვის ცსკა. მატჩის შედეგია 113:84 (50:26) მოსკოველთა სასარგებლოდ.**

## კალიფორნიელთა დუელი დასრულდა

**დამთავრდა** ამერიკელ პროფესიონალ ბეისბოლისტთა უმთავრესი შეჯიბრება — ე. წ. მსოფლიო სერია. „ლოსანჯელეს დოჯერსმა“, რომელმაც „ოქლენდ ათლეთიქსთან“ შინ გამართული ორივე მატჩი მოიგო, არც სტუმრად შეირცხვინა თავი: მართალია, სერიის მესამე შეხვედრა წააგო ოქლენდელებთან (1:2), მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორჯერ სძლია მასპინძლებს (4:3 და 5:2), სერია მოიგო საერთო ანგარიშით 4:1 და ვადამდე მოიპოვა უძლიერესი პროფესიული გუნდის სახელი.

## „ᲑᲝᲡᲢᲝᲜ ᲡᲔᲚᲢᲘᲥᲡᲘ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ

**მადრიდი.** „მაკდონალდსის“ პოპულარული ფირმა კალათბურთელთა მინიტურნირებს ხშირად ატარებს. აი, ამჯერადაც მან ესპანეთის დედაქალაქში საასპარეზოდ მოიწვია ოთხი გუნდი — იუგოსლავიის ნაკრები, ადგილობრივი „რეალი“, იტალიის „სკავოლინი“ და აშშ-ს პროფესიული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, ნ-ბას 16-გზის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსი“.

ამერიკელ პროფესიონალთა პირველი შეხვედრის ტელერეპორტაჟი იუგოსლავიის ნაკრებთან მილიონობით საბჭოთა კალათბურთის მოყვარულმა ნახა. ამიტომ მხოლოდ ანგარიშს შეგახსენებთ: „ბოსტონ სელტიქსმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 113:85 (53:47). ამავე დღეს მადრიდის „რეალმა“ დაამარცხა იტალიის უძლიერესი კლუბი „სკავოლინი“ — 108:96 (49:51).

გამარჯვებულმა გუნდებმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, დამარცხებულებმა კი მესამე ადგილი გაითამაშეს.

ფინალში „ბოსტონ სელტიქსმა“ მადრიდის „რეალს“ 15 ქულით აჯობა — 111:96 (61:47) და ფირმის მთავარი პრიზი მოიპოვა. ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ერთხმად აღიარეს პროფესიული კალათბურთის უპირველესი „ვარსკვლავი“ ლარი ბერდი, რომელმაც თავის კლუბს 29 ქულა შესძინა. „რეალის“ შემადგენლობაში სხვებზე მეტად თავი გამოიჩინეს იუგოსლავიელმა დრაჟენ პეტროვიჩმა (ამჟამად იგი ესპანეთში თამაშობს) — 22 ქულა და ჰოსე ბირიუკოვმა — 18.

მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში იუგოსლავიის ნაკრებმა იტალიის „სკავოლინის“ აჯობა — 100:91. ამ შეხვედრის საუკეთესო სნაიპერი იუგოსლავიელი ჟარკო პასპალი გახლდათ — 21 ქულა.

## ᲐᲓᲠᲘᲐᲜ ᲓᲔᲜᲢᲚᲘ

მისი სიმაღლეა 193 სმ. იგი ნოტრ-დამის უნივერსიტეტის შემადგენლობაში გამოდიოდა და ორჯერ ზედიზედ (1975, 1976) დაასახელეს წლის საუკეთესო კალათბურთელად სტუდენტებს შორის. შემთხვევითი არ იყო, რომ აშშ-ის, ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა დინ სმითმა დენტლი ოლიმპიურ ნაკრებში მიიწვია. საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ვ. კონდრაშინი იგონებს — დენტლი, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო აშშ-ის ოლიმპიურ გუნდში, კარგად თამაშობდა როგორც დაცვაში ისე თავდასხმაში. გამოირჩეოდა ფილიგრანული ტექნიკით. 1977 წელს მან დაამთავრა ნოტრ-დამის უნივერსიტეტი და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კარიერა პროფესიულ კალათბურთში გააგრძელა. ერთი სეზონი ბუფალოში ითამაშა. ცოტა ხანს იყო სახელგანთქმულ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“. ამ ცნობილმა კლუბმა დენტლი „უტაჰ ჯაზს“ დაუთმო. იგი აღფოთებული იყო ასეთი მოქმედებით და მიაჩნდა, რომ მას ძალზე უსამართლოდ მოექცნენ. დენტლმა „უტაჰ ჯაზში“ შვიდი სეზონი გაატარა, სადაც პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავი გახდა. იგი რამდენჯერმე დასახელებული იყო ოლ-სტარზის შემადგენლობაში. 1986 წელს 31 წლის დენტლი „უტაჰ ჯაზმა“ ორ მოთამაშეში გაუცვალა „დეტროიტ პისტონს“. როგორც ეტყობა, „უტაჰ ჯაზის“ მესვეურები ოდნავ აჩქარდნენ. „დეტროიტ პისტონსში“ დენტლის, როგორც ამერიკელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, მეორე სუნთქვა გაეხსნა და ისაი თომასთან ერთად იგი დეტროიტელთა ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა. 1986-87 წლების სეზონი დენტლმა ბრწყინვალედ ჩაატარა და მხოლოდ მისმა ტრავმამ შეუშალა ხელი „დეტროიტ პისტონს“ ნახევარფინალში დაემარცხებინა „ბოსტონ სელტიქსი“. მეშვიდე მატჩში ადრიან დენტლმა ვერ შენიშნა ზურგს უკან მდგარი პარტნიორი და შეეჯახა მას, რის შემდეგაც იგი მოედნიდან საკაცით გაიტანეს. მხოლოდ წელს შეძლო დეტროიტმა რევანშის აღება და დაამარცხა მრისხანე მეტოქე „ბოსტონ სელტიქსი“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წარმატებაში ადრიან დენტლს ისაი თომასთან ერთად ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის.

აი, როგორ ახასიათებს დენტლის დეტროიტის მწვრთნელი ჩაკ დეილი: „თქმა არ უნდა, დენტლი პროფებს შორის პროფია. ძალიან მაღალი კლასის მოთამაშეა. „ოსტატი“, როგორც მას თანაგუნდელებმა შეარქვეს, მწვრთნელს ყოველგვარ დავალებას ყოველთვის უნაკლოდ ასრულებს“.

**მერაბ კალანდაძე.**

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

**ტოკიო.** ცნობილი იაპონური ფირმის „სეიკოს“ მიერ ორგანიზებულმა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. „იოიოგის“ დახურულ კორტზე გამართულ შეხვედრებს ყოველდღე 25 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მონაწილეთა შორის იყვნენ ცნობილი ოსტატები: ბორის ბეკერი (გფრ), სტეფან ედბერგი (შვეცია), სლობოდან ჟივოინოვიჩი (იუგოსლავია), ანდრეშ გომეში (ეკვადორი) და სხვ.

ფინალში თამაშის უფლება ბეკერმა და ავსტრალიელმა ჯონ ფიტცჯერალდმა მოიპოვეს. შეხვედრა, რომელიც 1 საათსა და 48 წუთს გრძელდებოდა, დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა მოიგო 7:6, 6:4.

აი რა თქვა თამაშის შემდეგ ბეკერის მწვრთნელმა, ავსტრალიელმა ბობ ბრედმა, რომელიც მანამდე კრის ევერტს (აშშ) ავარჯიშებდა: „ეს იყო ბეკერის პირველი გამოსვლა კორტზე ორთვიანი ავადმყოფობის შემდეგ, ამიტომ მან თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. და მაინც თამაშით კმაყოფილი ვარ. ფიტცჯერალდმა ბეკერს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ჩემის აზრით დამარცხდა იმიტომ, რომ მეტოქის ძლიერ მოწოდებებს ვერაფერი მოუხერხა“.

**ვენა.** „გრან-პრის“ პროგრამით მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში ანდრეი ჩესნოკოვი ავსტრიელ ჰორტს სტოფთან დამარცხდა — 5:7, 4:6.

## რეგბის ᲡᲐᲛᲒᲔᲠᲝ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲠᲗᲝᲜᲝᲑᲐ

**კავირას,** ალმა-ათაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ფირა-ს 1987-89 წლების ჩემპიონატის მეორე წრის პირველ შეხვედრაში უმასპინძლა რუმინეთის გუნდს. შესვენებამდე თამაში მასპინძელთა სასარგებლო უპირატესობით წარიმართა, რაც ქუთაისელ ნუგზარ ძაგნიძის მიერ შეგდებულ სამ საჯარიმოშიც აისახა. მეორე ტაიმში თამაშის სადავეები რუმინელებმა იგდეს ხელთ. გამოუყენებელი საგოლე მომენტებისა და უხეში შეცდომების მიუხედავად, 68-ე წუთისთვის სტუმრებმა საჯარიმო დარტყმებით ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს (9:13), კრიტიკულ სიტუაციაში საბჭოთა რეგბისტებმა მაინც იძალეს და მატჩის მიწურულს ტახონოვმა და მოლჩანოვმა ოო ლელო გაიტანეს, ძაგნიძემ კი ზუსტად დაარტყა რეალიზაციები. ანგარიშით 25:9 (9:0) გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა და ფირას-ს ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში დაწინაურდა. ამ დღეს ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ძაგნიძე; ვოროპაევი, ნეჩაევი, პარშინი (ვინოხოდოვი), კუპერმანი; მირონოვი, დემიდოვი; ხოხლოვი, მალიკოვი, მოლჩანოვი, სტალმახოვიჩი, სერგეევი, სოკოლოვი, ტიხონოვი, ხაირულინი.

**დიდ** ბრიტანეთში სტუმრად მყოფმა ავსტრალიის ეროვნულმა ნაკრებმა ტურნეს სასტარტო მატჩში ლონდონელი რეგბისტებისაგან ნაწვნევი მარცხის შემდეგ კვლავ წააგო, ამჯერად ჩრდილოეთ ინგლისის ნაკრებთან — 9:15 (9:3), თუმცა ტურნეს მესამე შეხვედრაში სტუმრებმა ნაწილობრივ მაინც აიღდგინეს შელახული რეპუტაცია, როცა სეილში ინგლისის ექსპერიმენტულ „ბ“ ნაკრებს სძლიეს — 37:9 (7:6). წარუმატებლად დაიწყეს ფრანგული ტურნე არგენტინელმა „პუმებმაც“. ისინი ჯერ დიეონში დამარცხდნენ ბურგუნდიის ნაკრებთან (15:18), შემდეგ კი კლერმონფერანშიც წააგეს იქაურ გუნდთან (19:23). რაც შეეხებათ წყნარი ოკეანის აუზის კუნძულოვანი ქვეყნის — დასავლეთ სამოას რეგბისტებს, რომლებიც ამჟამად უელსში სტუმრობენ, მასპინძელთა ახალგაზრდული ნაკრების, „ნიუბრიჯისა“ და ჩრდილოეთ უელსის ნაკრების ძლევის შემდეგ, მათ პირველი მარცხი იწვნიეს — ანგარიშით 17:21 დამარცხდნენ უელსის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ბრიჯენდთან“.


Ф. СП-1

Министерство связи СССР
«Союзпечать»

АБОНЕМЕНТ на газету / журнал
"ᲚᲔᲚᲝ"
(наименование издания)
(индекс издания)
Количество комлектов:
на 19 89 год по месяцам:
1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12
Куда
(почтовый индекс) (адрес)
Кому
(фамилия, инициалы)

Доставочная карточка
ПВ | место | литер | газету / на журнал
(индекс издания)
"ᲚᲔᲚᲝ"
(наименование издания)
Стоимость | подписки ——руб. ——коп. | перерасчетов ——руб. ——коп. | Количество комплектов
на 19 89 год по месяцам:
1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12
Куда
(почтовый индекс) (адрес)
Кому
(фамилия, инициалы)


## ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲡ

**თუ გსაურთ ყველაზე საუკეთესო საახალწლო საჩუქარი უძღვნათ თქვენს ახლობელ ქართველ ჯარისკაცს, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდის, გამოუწერეთ გაზეთი „ლელო“. თქვენთვის ხომ ცნობილია ჯარისკაცის მისამართი, ხოლო იმისთვის დრო რომ დაზოგოთ შეავსეთ სპეციალური ბლანკი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.**

**„ლელოს“ მეშვეობით ქართველი მეომრები შეიტყობენ ახალ ამბებს როგორც რესპუბლიკის, ისე საბჭოთა სპორტსმენების წარმატებების შესახებ, გაეცნობიან მსოფლიოს სპორტულ სამყაროში მიმდინარე პროცესებს.**

**დღეს გამოქვეყნებული ბლანკით შეუძლიათ ისარგებლონ იმათაც, ვისაც ჯერ არ გამოუწერია „ლელო“. შეგახსენებთ, რომ „ლელოს“ გამოწერაზე შეზღუდვა მოიხსნა, მაშ იჩქარეთ, ხელმოწერა 1989 წლისათვის რამდენიმე დღეში — 1 ნოემბერს მთავრდება.**

### „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 43-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 16 (საცხენოსნო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლები), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 42 (ჩოგბურთი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 8 (ტრეკზე ველოსრბოლა), 9 (საგზატკეცილო ველოსრბოლა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

### ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 25 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში— **20.30 (2).**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 25 ოქტომბერი.** სპორტული გადაცემა — **18.00;** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ცსკა — **20.00;** დედოფლის გვირგვინისათვის — **23.45.**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 25 ოქტომბერი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში (I ლიგა) —**21.45.**


**რედაქტორი**
**თ. ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ**

**ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, ქ. 29.**
უე 10912